ხელშეკრულება N01/08/20-348

(CPV92300000 - გასართობი მომსახურებები; CPV92312212 - სასწავლო სახელმძღვანელოების მომზადებასთან დაკავშირებული მომსახურებები)

სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 30 ივლისის განკარგულება

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე - SMP200003140

ქ. თბილისი **------ ივლისი 2020 წ.**

ერთი მხრივ, სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“ (შემდგომში - „სააგენტო“), წარმოდგენილი დირექტორის **დავით ფარცვანიას** სახით,

და

მეორე მხრივ, საავტორო უფლების მფლობელი შპს „გამომცემლობა მერიდიანი“ (საიდენტიფიკაციო N200004850), შემდგომში - „საავტორო უფლების მფლობელი“) წარმოდგენილი დირექტორის გიორგი გიგინეიშვილის (პირადი N01023006925) სახით (გრიფირების განაცხადის რეგისტრაციის N348 სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება V-VI კლ.), სახით, ერთობლივად „მხარეები“,

ვხელმძღვანელობთ რა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“-სა და საავტორო უფლების მფლობელ შპს ,,გამომცემლობა მერიდიანს“ შორის 2018 წლის 4 აგვისტოს გაფორმებულ N04/08/18-348 ჩვეულებრივ ლიცენზიის ხელშეკრულების გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგი პირობებით:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საავტორო უფლების მფლობელისათვის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოს (მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული) ტირაჟის შესაბამისად საავტორო ჰონორარის (კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით) გადახდა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საავტორო ჰონორარის ოდენობა შეადგენს 7600 (შვიდი ათას ექვსასი) ლარს.

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. საავტორო უფლების მფლობელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს სააგენტოს გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოს (მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული) ტირაჟის შესაბამისად საავტორო ჰონორარის გადახდა საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით;

ბ) მოსთხოვოს სააგენტოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

2. სააგენტო ვალდებულია:

ა) საავტორო უფლების მფლობელს, საავტორო ჰონორარის სახით გადაურიცხოს გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოს (მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული) ტირაჟის შესაბამისი ღირებულება.

ბ) დაიცვას და შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნები და პირობები.

3. მხარეები ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

მუხლი 3. ანგარიშსწორების წესი

1. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, საავტორო უფლების მფლობელის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით, ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საავტორო ჰონორარი მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

1. 1. ხელშეკრულებების შესრულების ვადა განისაზღვრება 2020 წლის 31 ივლისიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო მოქმედების ვადა განისაზღვრება 2020 წლის 31 ივლისიდან 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით;

2. წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა ან მასში ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმებით.

მუხლი 5. ფორს-მაჟორი

ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობისას, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გადავადდება აღნიშნული გარემოებების აღმოფხვრისათვის საჭირო ვადით.

მუხლი 6. დამატებითი პირობები

1. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მხარეთა შორის წარმოშობილი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლის თითო ეგზემპლარი გადაეცემა ხელშეკრულების თითოეულ მხარეს.

მუხლი 7. რეკვიზიტები

სააგენტო	**საავტორო უფლების მფლობელი**
	შპს „გამომცემლობა მერიდიანი“ **ს/კ 200004850 ბანკი: სს „ვითიბი ბანკი“** **ბანკის კოდი: UGEBGE22** **ანგ. GE69VT6600000017467452**
დავით ფარცვანია **დირექტორი**	**გიორგი გიგინეიშვილი** **დირექტორი**